პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 159 10 078)
17 აგვისტო,
ხუთშაბათი
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

მოვლენის კვალდაკვალ

# ოლიმპიადის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესახებ

**არ ახდა საქართველოს სპორტის მოყვარულთა იმედები. განთქმული სამთო კურორტი ბაკურიანი, 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის გამართვის ერთ-ერთი პრეტენდენტი საბჭოთა კავშირისაგან „ჩაჭრეს“ „საშინაო“ გამოცდაზე. სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამჯობინა ამ „როლზე“ წამოეყენებინა ქალაქი სოჭი და დაბა კრასნაია პოლიანა.**

**ყველა ელოდა, რომ დავა გაჩაღდებოდა ბაკურიანსა და ალმა-ათას შორის, კონკურსის ახლანდელ გამარჯვებულს ცოტა თუ ვინმე უყურებდა სერიოზულად. სოჭი ხომ საერთოდ არ არის ცნობილი ზამთრის სპორტულ სამყაროში. რით ავხსნათ ასეთი პარადოქსული გადაწყვეტილება? — ასეთი შეკითხვით მიმართეს საქინფორმის კორესპონდენტებმა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრს, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს ნუგზარ ენდელაძეს.**

— იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა კონკურსი, მკითხველებს დეტალურად უამბო გაზეთმა „ლელომ“, ასე რომ, რესპუბლიკის საზოგადოებრიობა უკვე საკმარისად არის ინფორმირებული. — თქვა ნუგზარ ენდელაძემ, — მხოლოდ დავუმატებ, რომ სამწუხაროდ, მიკერძოებამ გაიმარჯვა გონიერებაზე. როცა მოსკოვში მივემგზავრებოდით, მზად ვიყავით იმისათვის, რომ ასე იოლად არავინ არ „დაგვითმობდა“ პრეტენდენტობას, რომ მოგველოდა სერიოზული დავა. თუმცა ჩვენი მოსაზრებები ბევრად უფრო საფუძვლიანი იყო, ვიდრე ჩვენი კონკურენტებისა. და ჩვენი დელეგაციის ყოველი წევრი ბაკურიანს იცავდა არგუმენტირებულად, გაბედულად და გადაჭრით. მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს საკმარისი არ ყოფილა. ბევრი რამის ახსნა შეუძლიათ შემდეგ ციფრებს. ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 178 წევრიდან 136 რუსეთის ფედერაციას წარმოადგენს. კენჭისყრაში მონაწილეობდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 99 წევრი, და ადვილი მისახვედრია, თუ 64 მათგანმა რატომ მისცა ხმა სოჭს. მხოლოდ 17 კაცმა მიანიჭა უპირატესობა ბაკურიანს, 16 კაცმა კი ალმა-ათას. კენჭისყრის ეს შედეგები პლენუმზე მოწვეულმა სპორტში ჩახედულმა მრავალმა ავტორიტეტიანმა ადამიანმა არაობიექტურად ჩათვალა, იმათ შორის, ვინც მხარი დაუჭირა ბაკურიანის კანდიდატურას, იყო მრავალი ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი. საკმარისია ითქვას, რომ ოლიმპიური ასპარეზობებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ბიატლონისტმა ა. ტიხონოვმა პლენუმის ტრიბუნიდან გამოხატა თავისი პოზიცია. გაოცება კენჭისყრის შედეგის გამო ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტთან საუბარში გამოთქვა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. როდნინამაც, მაგრამ ეს სიუჟეტი ეთერში არ მოხვედრილა. საქართველოდან კენჭისყრაში ჩემს გარდა მონაწილეობდა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კიდევ ორი



წევრი — სსრ კავშირის კეტბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე რ. გოგლიძე და ოლიმპიური ჩემპიონი რ. რურუა. სამწუხაროდ, მათი აზრი, ისევე როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, პლენუმზე ყურად არ იღეს.

ჩვენ წავაწყდით არა მარტო არაობიექტურობას, არამედ უპატიოსნებასაც. ზოგიერთმა ცნობილმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა, რომლებიც მრავალი წელია გადიან მზადებას ბაკურიანში პასუხ-

იხ. მე-2 გვ.

# ხრისტინა ფალასინიდი — ევროპის ჩემპიონი!



**ბონი.** ორიოდე წლის წინ სინქრონული ცურვის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირებში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს დებიუტანტთა მოკრძალებული როლი ჰქონდათ განკუთვნილი. ევროპის ბოლო ჩემპიონატზე საბჭოთა სინქრონისტებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს და პირველად მიიქციეს ყურადღება, მაგრამ ეს იყო ჯგუფურ ვარჯიშებში.

ორშაბათს კონტინენტის ჩემპიონატის მონაწილეებმა სავალდებულო ვარჯიშები ჩაატარეს და აი, პირველად სინქრონული ცურვის ისტორიაში, შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი გახდა საბჭოთა სინქრონისტი, თბილისელი ხრისტინა ფალასინიდი. მან ყველა ილეთი, ყველა ნაერთი დიდი სიზუსტითა და სინატიფით შეასრულა, თავიდანვე მიიპყრო მაყურებლების, სპეციალისტთა და მსაჯთა ყურადღება. არბიტრებმაც არ დაიშურეს შეფასება და სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ხრისტინას 87,967 ქულა დაუგროვდა. ასე მსაჯებს შეჯიბრების არც ერთი სხვა მონაწილე არ შეუფასებიათ. პირველი დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და სეულის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი ხრისტინა ფალასინიდი ლიდერი გახდა — მან უკან ჩამოიტოვა ცნობილი ფრანგი სინქრონისტი კარინ შულერი (87,550 ქულა) და შვეიცარიელი კარინ ზინგერი (86,317 ქულა).

მეორე დღეს ნებისმიერმა ვარჯიშებმა არსებითად არაფერი შეცვალა, ლიდერმა — ხრისტინა ფალასინიდიმ არა თუ შეინარჩუნა უპირატესობა, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდა იგი და თითქმის 2 ქულამდე აიყვანა. მაშ ასე, ევროპის ჩემპიონი სინქრონულ ცურვაში გახდა თბილისელი სპორტსმენი ხრისტინა ფალასინიდი — 184,56 ქულა. მეორე ადგილი დარჩა ფრანგ კარინ შულერს (182,87), მესამე — შვეიცარიელ კარილ ზინგერს (181,83).

საბჭოთა სინქრონული ცურვის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო — ჩვენი სპორტსმენი წარმატებით გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. სასიხარულოა, რომ პირველი საბჭოთა ჩემპიონი სპორტის ამ ურთულეს სახეობაში თბილისელი სინქრონისტი ხრისტინა ფალასინიდი გახდა.

**სურათზე: ხრისტინა ფალასინიდი.**

საქართველოს სპორტსახკომში

# პოზიციები უნდა შევინარჩუნოთ

**გუშინწინ** შინ დაბრუნდნენ და იმავე დღეს საქართველოს სპორტსახკომში შეხვედრა მოუწყვეს მოჭადრაკე გოგოებს, რომლებიც მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში გამოდიოდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, მსოფლიოს ექსჩემპიონი, თეა ლანჩავას მწვრთნელი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც შეჯიბრების დროს დარჩიასაც ეხმარებოდა, და მსოფლიოს ნორჩი ჩემპიონის ერთ-ერთი მწვრთნელი, ოსტატი გურამ ჭანტურია.

ნონა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რა პირობებში მოუხდათ თამაში ჩვენებს, ვინ იყვნენ მათი მეტოქეები და თავად როგორ გამოიჩინეს თავი. დიდოსტატმა დეტალურად დაახასიათა ჩვენი გოგოების დადებითი მხარეები, აღნიშნა, ისიც, რა ნაკლი აქვთ აღმოსაფხვრელი თამაშში. მან თქვა, რომ ნელნელა, მაგრამ მტკიცედ წინაურდებიან სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები და ამიტომ ქართველმა მოჭადრაკეებმა მეტი უნდა იმუშაონ, განსაკუთრებით თეორიის საკითხებში, რათა არაფერში ჩამორჩნენ თავიანთ უცხოელ თანატოლებს და შეინარჩუნონ წამყვანი პოზიციები. „თუმცა, — დასძინა დიდოსტატმა, — ჩვენ ყველა ასაკობრივ ჯგუფში გვყავს ძლიერი მოჭადრაკე გოგოები, რომელთა ძლევა არც ისე იოლია, ოღონდ, მთავარია ბეჯითი შრომა.

იხ. მე-4 გვ.



**სურათზე (მარცხნიდან): თეა ლანჩავა, დიანა დარჩია და ნათია ჯანჯღავა თბილისის აეროპორტში.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**კრივში** — ვია გოლეთიანს (ქუთაისი, „შრომითი რეზერვები“), ნიკოლოზ ხორბალაძეს, ზურაბ ფალიანს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები)

**ძიუდოში** — შალვა ბექაურს (თბილისი, შეიარაღებული ძალები)

**ცურვაში** — ზურაბ გვლიგვაშვილს (თბილისი, პროფკავშირები)

**მშვილდოსნობაში** — ლანა ვერულიძეს (ბათუმი, პროფკავშირები)

**ფარიკაობაში** — ომარ ჯანიაშვილს (გაგრა, პროფკავშირები), გვანცა შენგელიას, ზურაბ იორდანიშვილს, დავით ფეიქრიშვილს, გია ფცქიალაძეს, ალექსანდრე ზახაშვილს, გიორგი თავართქილაძეს, ნიკოლოზ ასათიანს (ყველა — თბილისი, პროფკავშირები), ვახტანგ ურუშაძეს (თბილისი, „დინამო“)

**სამბოში** — მიხეილ მძელურს (თბილისი, სახალხო განათლება)

**რაგბიში** — ირაკლი კუსრაშვილს, პეტრე ჩაჩანიძეს (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები).

# განვშორდეთ სან-ჰუანამდე

**სსრ კავშირის ეოკ-ის პლენუმის ექო**

**1996** წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მოწყობაზე პრეტენზიას აცხადებს ექვსი ქალაქი — ათენი, ატლანტა, ბელგრადი, მანჩესტერი, მელბურნი და ტორონტო. დავა მათ შორის, როგორც ცნობილია, გადაწყდება მერმისს, სექტემბრის შუა რიცხვებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 96-ე სესიაზე, რომელიც ტოკიოში გაიმართება.

რა მდგომარეობაა 1998 წლის ზამთრის თამაშების კანდიდატურასთან დაკავშირებით? სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამას წინათ თავისი კანდიდატურა წამოაყენა, ქალაქი სოჭი. ვის აქვს კიდევ სურვილი უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიადას? როდის მთავრდება განაცხადების მიღების ვადა და როდის მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას?

ამ და ზოგიერთ სხვა შეკითხვაზე პასუხის მიღება გვინდოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინიდან. ლოზანაში რომ დავრეკეთ, ადგილზე დაგვხვდა სოკ-ის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი ალენ კუპა.

აი, როგორ წარიმართა ეს საუბარი:

**— დილა მშვიდობისა, ალენ, როგორი რეაქცია გამოიწვია სოკ-ში საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებამ, წამოაყენოს სოჭი 1998 წლის ოლიმპიადის კანდიდატად?**

— ჯერჯერობით არავითარი. უბრალოდ შტაბ-ბინის წევრები, რომლებიც შვებულებაში არ არიან, ოდნავ გაოცდნენ. ჩვენ ყველანი სოჭს ვიცნობთ, როგორც ცხელი კლიმატის ქალაქს და არა როგორც ზამთრის კურორტს...

**— ვინ აცხადებს კიდევ პრეტენზიას თეთრი ოლიმპიადა-98-ის ჩასატარებლად?**

— როგორც ვიცი, შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული აქვთ აშშ-სა და იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტებს. მათი კანდიდატებია სოლტ-ლეიკ-სიტი და ნაგანო.

**— „ოლიმპიკ რევიუს“ ბოლო ნომერში პრეტენდენტთა შორის მოხსენებულია, აგრეთვე, შვეციის ქალაქი ოსტერსუნდი და იტალიის ვალე დ' აოსტა...**

— ამ საკითხზე ოფიციალური ინფორმაციისთვის ყური არ მომიკრავს. რა თქმა უნდა ნებისმიერ არჩევნებში ჩართვა დროზეა უმჯობესი, მაგრამ საჩქარო ჯერჯერობით არაფერია.

**— ამასთან დაკავშირებით ერთი შეკითხვაც — როდის იწურება განაცხადების მიღების ვადა?**

— იგი ჯერ არც დაწყებულა. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება 1990 წლის 1 იანვრიდან. სოკ-ის წევრებმა თავიანთი არჩევანი უნდა გააკეთონ ოლიმპიური კომიტეტის 1991 წლის ბირმინჰემის სესიაზე. რაც შეეხება განაცხადების მიღების შეწყვეტას, ამ დღეს დაადგენს სოკ-ი ამ თვის პუერტორიკოს სესიაზე.

**— ვინაიდან პუერტო-რიკოს სესიაზე ჩამოვარდა სიტყვა, გვაინტერესებს მოხდება თუ არა სოკ-ის ახალ წევრთა მიღება და იქნება თუ არა დღის წესრიგში შეტანილი განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების აღიარების საკითხი?**

— ამ შეკითხვის პირველ ნაწილზე დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება. სან-ჰუანში ალბათ სოკ-ის რამდენიმე ახალი წევრის ვინაობას გავიგებთ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების აღიარების საკითხი კი ცოტა სხვაგვარად დგას. პრეზიდენტს სურს, რომ ყველა ასეთი განაცხადი განიხილოს ბირმინჰემის სესიაზე, ალბერვილისა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე...

**სოკ-ის პრეზიდენტის კაბინეტის შეფს ესაუბრა ა. რატნერი („ოლიმპიური პანორამა“).**

Советский спорт

„სოვეტსკი სპორტი“, 16 აგვისტო.
(იბეჭდება შემოკლებით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესახებ

(დასასრული)

ნაგები სტარტებისათვის და წინათ არ დაუშურიათ ქების სიტყვები ჩვენი კურორტის, მისი ბუნებრივი და კლიმატური პირობების მისამართით, ამჯერად თავი არიდა ობიექტურ შეფასებას. ამით ისინი აღმოჩნდნენ კონკურენტთა ბანაკში. ყოველივე ამან ძალზე დაგვწყვიტა გული.

**● არ ვიცით, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ, სპორტის მრავალმა მოყვარულმა არაფერი იცის ისეთი სპორტული ცენტრის შესახებ, როგორიც კრასნაია პოლიანაა...**

— და არა მარტო მოყვარულებმა. დიდი სპორტის რუკაზე ეს დაბა უბრალოდ არ არის. როცა სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ჰკითხეს, თუ როდის და რა შეჯიბრებები გამართულა კრასნაია პოლიანაში, მისმა პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: არავითარი! იქნებ, იმათ, ვინც სოჭი დაასახელა ოლიმპიადის ორგანიზაციისათვის, გულში გუდაურისა და ბაკურიანის თოვლიანი ბილიკების იმედი ჰქონდათ, სადაც, ალბათ, კვლავ განაგრძობენ მზადებას საბჭოთა ოლიმპიელები? ან იქნებ მათ თანამედროვე ტექნიკის იმედი აქვთ, რომლის საშუალებითაც დღეს ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მოწყობა საჰარის უდაბნოშიც კი შეიძლება? უკვე ახლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ შემდგომში ყველასათვის უცნობ კუთხეში შექმნილი ძვირადღირებული ოლიმპიური სპორტული ნაგებობები.

გარდა ამისა, სოჭ-კრასნაია პოლიანაში ოლიმპიადის მოწყობისას შეიძლება შეიქმნას დამატებითი სიძნელეები. აქედან უმთავრესია გეოგრაფია და კლიმატური პირობები. სოჭი, სადაც დაგეგმილია ასპარეზობის მონაწილეთა დაბინავება, მდებარეობს ზღვის დონიდან ნულოვან ნიშნულზე. კრასნაია პოლიანა კი, სადაც განლაგდება უმრავლესი ოლიმპიური ობიექტი, ზღვის დონიდან 1600 მეტრზეა. სიმაღლეთა ასეთი მკვეთრი სხვაობის დაძლევამ, თანაც დღეში რამდენჯერმე, შეუძლებელია უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს სპორტსმენების ჯანმრთელობაზე. ვფიქრობ, რომ ასპარეზობის მონაწილეთათვის დაგეგმილ ასეთ „ეგზოტიკურ" მოგზაურობას მხარს არ დაუჭერენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. როგორ არ უნდა გავიხსენოთ აქ ბორჯომ-ბაკურიანის ერთ-ერთი მთავარი ღირსება — ყველა კომპლექსის კომპაქტურობა.

**● რას იზამ, როგორც იტყვიან, დაე, ყოველივე ეს იმათ სინდისზე იყოს: ვინც დღეს „წაართვა" ოლიმპიადა ბაკურიანს. მაგრამ მომავლისათვის შეიძლება რაიმე იმედი გვქონდეს?**

— 1992 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე, რომელიც გაიმართება ბარსელონაში ზაფხულის ოლიმპიადის დღეებში, დაასახელებენ 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქს. ამ წოდებისათვის იბრძოლებს სოჭიც. იმ შემთხვევაში, თუ ეს კანდიდატურა ვერ გაიმარჯვებს, და სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტს კვლავ მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, მაგრამ უკვე მომდევნო ოლიმპიურ ციკლში ჩვენს რესპუბლიკას მიეცემა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ სცადოს ბედი. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბაკურიანი გადაიქცეს მაღალი საერთაშორისო დონის ზამთრის სპორტისა და დასვენების ცენტრად. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ საქართველოს მთავრობის დადგენილება „დიდი ბაკურიანის" განვითარების შესახებ. მაშინ ჩვენი შანსი კიდევ უფრო გაიზრდება.

**● კიდევ რა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა პლენუმმა?**

— ალბათ, ყველაზე მთავარი იყო სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების ახალი რედაქციის განხილვა. ახლავე ვიტყვი: იგი არ იქნა მიღებული. მისმა ახლანდელმა რედაქციამ სპორტული საზოგადოებრიობის არაერთი მნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიმდინარეობდა მისი საყოველთაო სახალხო განხილვა. იგივე მოხდა პლენუმზე. ცხარე კამათი გაჩაღდა პროექტის მე-2 მუხლის ირგვლივ, სადაც აღნიშნულია: „სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის, როგორც ერთადერთი აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იურისდიქცია და უფლებამოსილება ვრცელდება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე". საკითხის ასეთი დაყენება არ უტოვებს მოკავშირე რესპუბლიკებს საკუთარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შექმნისა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დამოუკიდებელი წარმომადგენლობის უფლებას. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კოლეგებთან ერთად ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს მუხლი ლახავს რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს და განვაცხადეთ პროტესტი, რომელიც მიიღეს. რეზოლუციაში, რომელმაც შეაჯამა კამათის შედეგი, გადაწყდა, შეიქმნას სარედაქციო კომისია და მომზადდეს კიდევ ერთი პროექტი პლენუმზე გამოთქმული ყველა აზრისა და წინადადების გათვალისწინებით. შემოდგომაზე მას განსახილველად წარუდგენენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ ასამბლეას.

**● რას ეფუძნებოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს დელეგაციების მოსაზრებები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს წესდების პროექტის მე-2 მუხლს?**

— მინდა შეგახსენოთ, რომ დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტების შექმნის იდეა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისაგან მომდინარეობს. უფრო სწორად, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ცდილობენ შექმნან თავიანთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, რომლებიც 20-30-იან წლებში დამოუკიდებლად შედიოდნენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და ცალკე გუნდებად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ ასპარეზობებში. როგორც ცნობილია, სსრ კავშირთან შეერთების შემდეგ, რომელიც არ მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, მათ შეწყვიტეს არსებობა. უკანასკნელ ხანს ამ რესპუბლიკებში გასწიეს დიდი მოსამზადებელი მუშაობა, და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა დაიწყეს შარშან საქმიანობა ლატვიასა და ლიტვაში, წელს კი — ესტონეთში. მართალია, ეს კომიტეტები ჯერჯერობით არ უცვნიათ არც სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, არც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. და მაინც, მათ მიერ განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებები პატივისცემას იმსახურებს. გამოცდილების შესასწავლად ბალტიისპირეთში გაემგზავრნენ ჩვენი სპეციალისტები, ივლისში კი საქართველოს სპორტული დელეგაცია მონაწილეობდა რიგაში გამართულ საკონსულტაციო თათბირში. სხვათა შორის, თათბირში მონაწილეობის მიწვევა გაუგზავნეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, მაგრამ ჩვენს გარდა წარმომადგენლები არავის არ გამოუგზავნია.

საერთოდ, ბალტიისპირელთა ინიციატივას თავიდანვე მტრულად შეხვდნენ. მის შესახებ არ იყო ობიექტური ინფორმაცია ცენტრალურ პრესაში და ქვეყნის საზოგადოებრიობამ დიდი ხნის მანძილზე არაფერი არ იცოდა. მხოლოდ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" მოჰფინა ამ საქმეს ნათელი, მართლად გააშუქა რიგის თათბირი. წინადადების მოწინააღმდეგეები ფიქრობენ, რომ თუ რესპუბლიკური ოლიმპიური კომიტეტები ავტომატურად გამოვლენ სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობიდან, მაშინ, მთელი ჩვენი დიდი სპორტი შეწყვეტს არსებობას ახლანდელ დონეზე. ეს არ არის სწორი. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შექმნა სტიმულს მისცემს სპორტის განვითარებას სხვადასხვა დონეზე ყოველ რეგიონში, რაც, თავის მხრივ, კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს მის მდგომარეობაზე მთელ ქვეყანაში. დამოუკიდებელი რესპუბლიკური ოლიმპიური კომიტეტები ვახდებიან თავიანთი საქმის ნამდვილი ბატონ-პატრონები, თვითონ აგებენ პასუხს მათთვის. იდეის მთავარი პრინციპი ეფუძნება არა მედლების გამოდევნებას, არამედ ემსახურება ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ერის გაჯანსაღებას. რიგაში გამართულ საკონსულტაციო თათბირზე მიღებული მრავალი დებულება ჩამოყალიბდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წესდების პროექტის ახალი რედაქციის შესახებ ერთობლივ რეკომენდაციებში და წამოაყენეს პლენუმზე.

**● მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის ახლანდელი მდგომარეობა გამოირჩევა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისაგან, და მის წინაშეც რამდენადმე განსხვავებული ამოცანა დგას.**

— მართლაც, საქართველოში საქმე ეხება არა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღორძინებას, არამედ მის შექმნას. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ჩვენ უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე ბალტიისპირელებს. მაგრამ მიზანი ერთია როგორც ჩვენთვის, ისე მათთვის — მივაღწიოთ დამოუკიდებლობას, ქმედით სპორტულ ორგანიზაციას, რომელსაც ექნება იურიდიული პირის სტატუსი. ვეყრდნობით რა საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით; შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც გაშალა მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისათვის. არის ოლიმპიური აკადემიის, ოლიმპიური ჩემპიონების კლუბის შექმნის იდეები...

**● როგორ გესახებათ სპორტული მოძრაობა საქართველოში მას შემდეგ, რაც აქ შეიქმნება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი?**

— ჯერ ერთი, ასეთი კომიტეტის არსებობა არის სპორტისა და ფიზკულტურული მუშაობის დონის ამაღლების, მათი მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკის დამოუკიდებლად გასვლის გარანტია. მეორეც, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების განმტკიცებას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. არსებული კონსტიტუციის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკებს ხომ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, დაამყარონ მათთან პირდაპირი კავშირურთიერთობა. ეს ეხება სპორტსაც. შესაძლებლობა გვექნება დამოუკიდებლად წარვმართოთ ჩვენი სპორტული მეურნეობა, რაციონალურად გამოვიყენოთ მისი რესურსები, ვეძებოთ სპორტული კონტაქტების გაფართოების გზები, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები. საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების შემდეგ კი აღარ ვიქნებით დამოკიდებული ცენტრზე, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ბორკავს ჩვენი მოქმედების თავისუფლებას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საქართველოს ეროვნული კომიტეტის შექმნის შემდეგ, ჩვენ განვაგრძობთ მჭიდრო თანამშრომლობას სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტთან, მაგრამ ამასთან, გვექნება პირდაპირი კავშირურთიერთობა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან.

**● საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ჯერჯერობით არ აღიარებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დამოუკიდებლობას. რამდენად რეალურია მისი პოზიციის შეცვლა?**

— საქმე ის არის, რომ ოლიმპიურ ქარტიაში წერია: ერთი ქვეყანა — ერთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია ამ პუნქტის მიმართ მნიშვნელოვანია. ჩვენს ქვეყანაში მრავალი პროცესის გარდაქმნის, საერთაშორისო ასპარეზზე ახალი პოლიტიკური აზროვნების გათვალისწინებით, უნდა შევძლოთ განვუმარტოთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მის აღმასკომს, რომ სსრ კავშირი არის თხუთმეტი სუვერენული რესპუბლიკის კავშირი, რომელთა სტრუქტურა და უფლებები სპორტშიც უნდა აისახებოდეს. სხვათა შორის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრინციპით მოქმედებენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიც, რომლებიც თავიანთ წევრებად აღიარებენ თითო წარმომადგენელს ყოველი ქვეყნისაგან. ხოლო იმისათვის, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიაროს ესა თუ ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, პრეტენდენტი უთუოდ უნდა იყოს ხუთი საერთაშორისო ფედერაციის, მათ შორის, სპორტის სულ ცოტა, სამი ოლიმპიური და კიდევ ორი არაოლიმპიური სახეობის ფედერაციის წევრი. და ჩვენ აქ გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ. მაგალითად, დღის წესრიგშია ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნა...

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისათვის მოძრაობა ორგანულად ერწყმის სსრ კავშირის ფედერაციის შემადგენლობაში საქართველოს სუვერენიტეტის მიღწევის პროცესს, რომელიც გაიშალა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით. ჩვენს წინაშე მრავალი პრობლემაა და დიდი მუშაობა მოგვიწევს. მნიშვნელოვანი საერთო ეროვნული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ყველა მოქმედების დასაბუთება, მათი ზუსტი თანამიმდევრულობა, ტაქტი, თავდაჭერა, მოთმინება და გაბედულებაც კი.

**საუბარს უძღვებოდნენ საქინფორმის კორესპონდენტები პ. ცინცაძე და ზ. შალოლაშვილი.**

---

**მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი!**

**ეს ბევრს აინტერესებდა...**

# განაცხადი გადაცემულია

**„ლელოსადმი"** გამოგზავნილ გამოხმაურებაში თბილისელმა მკითხველმა ა. ბაქრაძემ სამართლიანად შენიშნა, რომ ქართული რაგბის სუვერენიტეტის მიღწევის პროგრამის განხორციელებას გაზეთის საშუალებით მთელი ქართული საზოგადოებრიობა უნდა ადევნებდეს თვალს. დღეს ვასრულებთ მკითხველის თხოვნას.

1989 წლის 28 ივნისს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა საქართველოს რაგბის კავშირის (ყოფილი ფედერაციის) გამგეობის სხდომა, რომელმაც განიხილა და მოიწონა 25 ივნისს „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილში „რაგბი — გზა წინსვლისა" გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველო დაუყოვნებლივ გამხდარიყო მსოფლიოში სამოყვარულო რაგბის მმართველი ორგანიზაციის — რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ე. წ. მოკავშირე წევრი.

ამ მისიის აღსასრულებლად საქართველოს სპორტსახკომის შეწევნით 19 ივლისიდან 29 ივლისამდე მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს რაგბის კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ კავშირის მდივანი, საქართველოს სპორტსახკომის რაგბის მთავარი მწვრთნელი დავით კილასონია, კავშირის გამგეობის წევრები რომეო ღვინიაშვილი და ნოდარ ჩაჩანიძე, ქუთაისის „აიას" მთავარი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი და „ლელოს" რაგბის მიმომხილველი ზაალ გიგინეიშვილი.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშებაზე დასასწრებად და საბჭოთა კავშირის რაგბის ფედერაციის ირბ-ში შესაძლო შესვლის საკითხის გასარკვევად იმავე ხანებში მოსკოვში იმყოფებოდა ირბ-ის მდივანი (ფაქტიურად, ამ ორგანიზაციის საქმეთა განმრიგე), უელსელი მოღვაწე, ბატონი ქის როულენდზი.

21 ივლისს, საღამოს, ბატონ როულენდზსა და საქართველოს დელეგაციას შორის გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკება საქართველოს რაგბის კავშირის ირბ-ში შესვლის თაობაზე. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრი და დააზუსტეს პროცედურული წვრილმანები. შეხვედრის დროს ირბ-ის მდივანს გადაეცა საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალური მიმართვა.



სანაცვლოდ ბატონმა როულენდზმა ჩვენს დელეგაციას გადასცა ე. წ. მიმართვის ფორმა, რომელიც თერთმეტ კითხვასა და ირბ-ის წევრის ვალდებულებათა დეკლარაციას შეიცავს. როგორც მდივანმა განუმარტა საქართველოს წარგზავნილებს, ეს ფორმა შევსების შემდეგ უნდა გაეგზავნოს ირბ-ის სამდივნოს, რის შემდეგაც ირბ-ის საპოლიტიკო კომიტეტი განიხილავს მას, მოისმენს მდივნის მოსაზრებებს და თავის უახლოეს, ე. წ. საშუალედო სხდომაზე, რომელიც წელსვე, 26-29 ნოემბერს გაიმართება ლონდონში, საქართველოს სცნობს ირბ-ის მოკავშირე წევრად.

მდივანმა ამცნო ჩვენს დელეგაციას, რომ საქართველოს გარდა, მას სადღეისოდ გააჩნია ტაილანდისა და სინგაპურის განაცხადები. გარდა ამისა, ჩვენს კავშირს მალე გამოუგზავნის წიგნს, რომელიც ირბ-ის ყველა წევრს ერგება და თამაშის წესებს, მოყვარულობის პრინციპის განსაზღვრასა და ირბ-ის სხვა საკანონმდებლო აქტებს შეიცავს.

აქვე დავძენთ, რომ ბატონმა როულენდზმა უღრმესი მადლიერებით მიიღო მოწვევა, დაესწროს საქართველოს ეროვნული ნაკრების ნათლობის მატჩს ზიმბაბვეს გუნდთან, რომელიც ქუთაისის მთავარ სტადიონზე გაიმართება 12 სექტემბერს.

საქართველოს დელეგაციასთან მოლაპარაკების შემდეგ ირბ-ის მდივანი შეხვდა საკავშირო სპორტსახკომის საგარეო ურთიერთობათა მთავარი სამმართველოს უფროსს, სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ა. კოზლოვსკის. კოზლოვსკიმ როულენდზი ორჭოფული პასუხით გაისტუმრა.

ირბ-ის წარმომადგენელთან მოლაპარაკების გარდა, საქართველოს დელეგაცია დაუახლოვდა ტურნირის მონაწილე უელსის საკლუბო გუნდის „ქროშეის XV-ის" ხელმძღვანელობას. შეხვედრებზე განიხილეს 1990 წლის ოქტომბერში უელსსა და ინგლისში საქართველოს ეროვნული ნაკრების ტურნეს მოწყობისა და 1990 წლის გაზაფხულზე „ქროშეის XV-ის" საქართველოში ჩამოსვლის საკითხები. მხარეებმა მიაღწიეს ზოგად თანხმობას, თუმცა არაერთი წვრილმანი, პირველ ყოვლისა კი ტურნეს ფინანსური ასპექტები, დასაზუსტებელია. საერთო შეთანხმებით, მოლაპარაკება გაგრძელდება.

### საქართველოს პირველობა

**განვლილ** შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**„არაგვი“ (დუშეთი) — „სულორი“ (ვანი) 2:2. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ციმაკურიძე, ბედუკაძე („არაგვი“), შარაშენიძე, დვალიშვილი („სულორი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:4. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

**„ქმალაროელი“ (ჭიათურა) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).**

არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს კ. ქობულაძე („სიონი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ყაჩლავაშვილი („არმაზი“), ჩიხლაძე („შადრევანი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (გაგრა) 3:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).**

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: ჰილაშვილი, ნაბელიშვილი, მარტიაშვილი („ბახტრიონი“), ბოჭორიშვილი, მაკარიძე („საპოვნელა“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:4. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: გაბრიჭიძე, მშვენიერაძე-2, მესხი („მეტალურგი“), ბენდელიანი, შენგელია, ქარჩავა, გოგავა („სამეგრელო“).

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი“ — „კახეთი“ 1:1, „ქიზიყი“ — სსი (მუხრანი) 1:4, „შირაქი“ — „თრიალეთი“ 3:0, „სინათლე“ სპ. ინტ — „ალგეთი“ 0:1, „გარეჯი“ — „ჰერეთი“ 1:2.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ფარვანა“ — „საირმე“ 0:2, „რაჭა“ — „განთიადი“ 3:3, „იბერია“ — „ვარძია“ 0:0, „მამისონი“ — „აბული“ 3:2, „ზარზმა“ — „თორი“ 1:1, „ლიახვი“ — „ქართლი“ 1:2.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი“ — „სალხინო“ 2:1, „მენავთობე“ — „ეგრისი“ 1:0, „ხვამლი“ — „ნარინჯი“ 1:1, „ზანა“ — „იმერეთი“ 1:1, „მეშახტე“ — „დვაბზუ“ 3:0, „მშენებელი“ — „დარჩელი“ 1:0, „ფაზისი“ — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 0:1, „ბახმარო“ — „ჩიბათი“ 3:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 20 | 13 | 7 | 0 | 41-12 | 33 |
| „მაღარ.“ | 20 | 9 | 6 | 5 | 31-25 | 24 |
| „ამირანი“ | 17 | 8 | 7 | 2 | 29-15 | 23 |
| „სპარტაკი“ | 19 | 10 | 2 | 7 | 31-20 | 22 |
| „სპი“ | 17 | 9 | 4 | 4 | 40-27 | 22 |
| „მეტალ“ | 20 | 8 | 6 | 6 | 37-31 | 22 |
| „დინამო“ ზ. | 14 | 9 | 2 | 3 | 37-19 | 20 |
| „სქური“ | 18 | 8 | 3 | 7 | 23-18 | 19 |
| „სამეგრ.“ | 20 | 8 | 3 | 9 | 30-43 | 19 |
| „მზიური“ | 18 | 7 | 5 | 6 | 31-31 | 19 |
| „დინამო“ გ. | 18 | 8 | 2 | 8 | 37-37 | 18 |
| „საპოვნ.“ | 20 | 7 | 4 | 9 | 33-38 | 18 |
| „სულორი“ | 19 | 6 | 6 | 7 | 26-27 | 18 |
| „სიონი“ | 18 | 7 | 3 | 8 | 34-34 | 17 |
| „ივერია“ | 18 | 6 | 5 | 7 | 28-29 | 17 |
| „დურუჯი“ | 20 | 7 | 1 | 12 | 22-47 | 15 |
| „ბახტრ.“ | 19 | 4 | 4 | 11 | 20-39 | 12 |
| „არმაზი“ | 18 | 2 | 8 | 8 | 16-24 | 12 |
| „არაგვი“ | 19 | 3 | 5 | 11 | 17-36 | 11 |
| „ფიზკ. ინ.“ | 16 | 3 | 1 | 12 | 21-32 | 7 |

## „სიჭაბუკის თასზე“

**მოგილიოვში** (ბელორუსიის სსრ) მიმდინარეობს „სიჭაბუკის თასის“ გათამაშების ფინალური ეტაპი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობენ უკრაინის, ლენინგრადის, სომხეთის, უზბეკეთის, რსფსრ-ის და საქართველოს გუნდები. გათამაშდა ორი ტური. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირველი შეხვედრა ფრედ — 0:0 დაამთავრეს ლენინგრადელებთან, მეორე ტურში ჩვენი მეტოქე უკრაინის ძლიერი გუნდი იყო. ეს მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა. ჩვენი გუნდიდან გატანილი გოლის ავტორია ჯ. ჩუხუა.

ტურების სხვა შეხვედრები: რსფსრ — სომხეთი 3:0, უკრაინა — უზბეკეთი 0:0, რსფსრ — ლენინგრადი 2:1, უზბეკეთი — სომხეთი 2:0.

გათამაშების ცხრილი ორი ტურის შემდეგ ასე გამოიყურება.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რსფსრ | 2 | 2 | 0 | 0 | 5—1 | 4 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2—0 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| უკრაინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| ლენინგრ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0—5 | 0 |

## პოლონელებთან მატჩის წინ

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები პოლონეთის ეროვნულ გუნდთან საერთაშორისო შეხვედრისთვის ემზადება. 21 აგვისტოს გუნდი ნოვოგორსკის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება, 22 აგვისტოს პოლონეთს გაემგზავრება, სადაც 2 დღის შემდეგ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

სსრ კავშირის ნაკრები კვლავ შეიკრიბება და მზადებას დაიწყებს ავსტრიის ნაკრებთან შესახვედრად, რომელიც 6 სექტემბერს შედგება. ავსტრიელებთან მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, გამარჯვების შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრები ფინალური ტურნირის საგზურს გაინაღდებს.

ნაკრების ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მიიწვიოს ახალი ფეხბურთელები, კერძოდ, მოსკოვის სპარტაკელები ჩერენკოვი, შმაროვი და კულკოვი, მოსკოვის დინამოელი კირიაკოვი, ვოლგოგრადელი ნიკიტინი.

გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“

## თქვენც თქვით სათქმელი, ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელებო!

**როგორც** იქნა, მოვიდა დრო, როცა შეიძლება საუბარი საქართველოს ნამდვილი საფეხბურთო ლიგის შექმნის შესახებ (სასურველია მას ეროვნული ლიგა ეწოდოს) და მისი პრაქტიკულად განხორციელება. ვეთანხმები ა. ქღენტს იმაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი.

აუცილებელია მთელი სერიოზულობით დაისვას საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უეფა-ს და ფიფა-ს რიგებში შესვლის თაობაზე, უამისოდ, როგორც იცით, ევროპულ სარბიელზე არავინ დაგვრთავს თამაშის უფლებას.

რატომღაც, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ საქართველოს გუნდები ვერ შეძლებენ ევროპის საკლუბო ტურნირებში წარმატებით გამოსვლას. ვითომ რითი ვართ სხვებზე ნაკლები? რითი გვჯობია უელსის, ისლანდიის, ირლანდიის, ჩრდ. ირლანდიის, ლუქსემბურგის ან ალბანეთის ეროვნული გუნდები?

ისევე, როგორც სხვა გულშემატკივარსაც, მეშინია, ეს საუბარი და კეთილი საქმის წამოწყება, მხოლოდ ფურცელზე არ დარჩეს. აუცილებლად საჭიროა მისი პრაქტიკულად განხორციელება. გთხოვთ, გაზეთის ფურცლებზე გაგვაცნოთ ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელთა აზრი საქართველოს ეროვნული ლიგის შექმნის შესახებ.

**ზაზა გერმისაშვილი.**
თბილისი.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში საჭიროა

**გავეცანი** პატივცემული ალექსანდრე ქღენტისა და ზურაბ პეტრიაშვილის მოსაზრებებს.

ავტორებს სურვილი აქვთ, თბილისის „დინამომ“ მონაწილეობა მიიღოს ევროპულ ტურნირებში უბრძოლველად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ხოლო თუ რა შედეგს მიაღწევს გუნდი ამ ტურნირში, ამას მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

ავტორები მოსაზრებას კი არ გამოთქვამენ, პირდაპირ ამბობენ: „უნდა გაუქმდეს ყველა საკავშირო ჩემპიონატი“. მათ ნაცვლად უნდა ტარდებოდეს რესპუბლიკური პირველობები. სადაც, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო“ ყოველთვის ჩემპიონი იქნება და მონაწილეობას მიიღებს ევროპულ ტურნირებში. თანაც, შედარებისათვის მოყვანილია წყალწაღებული მალტისა და ისლანდიის გუნდების მაგალითი, რომლებიც ამ ტურნირებში მონაწილეობენ და პირველსავე ტურებში ეთიშებიან გათამაშებას. ე. ი. თბილისის „დინამოს“ ძლიერებას ხელს უშლის საკავშირო ჩემპიონატში მისი მონაწილეობა. ეს რომ არ იყოს, „დინამო“ იქნებოდა ერთადერთი უძლიერესი გუნდი. აი, თურმე რა ყოფილა და სად ვეძებდით წარუმატებლობის მიზეზებს.

ჯერ ერთი, საქართველოს ჩემპიონატში ყველა ქალაქი და რაიონია ჩაბმული. ყველა გუნდი იბრძვის ჩემპიონობისათვის. ჩემპიონი გადადის მეორე ლიგაში, შემდეგ — პირველში და ბოლოს — უმაღლესში. სად შეიძლება ფეხბურთელების დაოსტატება თუ არა ასეთ პირველობებში?

რას მოგვიტანს მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატი, მსაჯების სიმპათია ხომ ყოველთვის დინამოელთა მხარეს იქნება. თბილისის „დინამოს“ სტადიონი არასოდეს არ გაივსება მაყურებლებით.

საინტერესოა, სად ამოიკითხა პატივცემულმა ა. ქღენტმა, რომ ჩვენი ნიჭიერი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის ნაკრებში რუს სპორტსმენებად იწოდებიან? რომელს შეუცვალეს გვარი და რომელზე თქვეს, ეს ქართველი ფეხბურთელი რუსიაო. პირიქით, ქართველებს დიდ პატივს სცემდნენ და ნაკრების კაპიტნებადაც ირჩევდნენ.

სწორი ნათქვამია, რომ კარგ ხეხილს მებაღე მხოლოდ საკუთარ ბაღში მოიყვანს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კარგ ბაღს კარგი მებაღე სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, თბილისის „დინამოს“ არ ჰყავს.

თავად განსაჯეთ, ქართველმა თუ ლიტველმა ფეხბურთელებმა რომ ევროპულ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა, ამისათვის ჯერ დამქანცველ საფეხბურთო მარათონში უნდა გაიმარჯვონ, — წერს ზ. პეტრიაშვილი. ეს მარათონი არის კავშირის პირველობა, სადაც საკმარისია მოხვდე პირველ ხუთეულში და უეფა-ს ტურნირში მონაწილეობა გარანტირებული გაქვს. ის გუნდი კი, რომელიც ხუთეულში ვერ მოხვდება და ვერ დაამარცხებს უმაღლესი ლიგის ახალბედა გუნდებს, ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის ღირსი არ არის. ამდენ კამათს და დროის კარგვას სჯობია ნიჭიერი ფეხბურთელები ვეძებოთ. როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველოში ვერ მოინახა 11 ფეხბურთელი, რომელიც შეძლებს საქართველოს პირველი გუნდის ძველი დიდების აღდგენას. აი, სწორედ აქ გვჭირდება კარგი მებაღე. ტრავმების მომიზეზება და მსაჯების გაკრიტიკება საქმეს ვერ შველის, ასე წინ ვერ წავალთ.

რატომ ვერიდებით კარგი მწვრთნელებისა და ნიჭიერი ფეხბურთელების მოწვევას. თუ ასეთი დიდი სურვილი გაქვთ, მიბაძეთ საზღვარგარეთის კლუბებს, იქ ხომ წამყვანი გუნდები სხვა ქვეყნებიდან მოწვეული მწვრთნელებითა და ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული. თავის გამოჩენის სურვილი დიდი აქვთ, მაგრამ რომ არ შეუძლიათ („დინამოს“ ხელმძღვანელობას ვგულისხმობ).

საქართველოში ერთადერთი გუნდი ლანჩხუთის „გურიაა“, რომელიც სწორ[illegible] [illegible]რეთ [illegible] და მ. [illegible] და ახლანდელი ლანჩხუთის „გურია“. ისინი რომ დღემდე შემორჩენოდნენ გუნდს, ახლა „გურია“ მეორე ლიგას ვერ გასცდებოდა.

რაც შეეხება საფეხბურთო კავშირს, რომელიც ახლახან შეიქმნა, ზოგიერთებმა შექმნამდე მოასწრეს მისი გაკრიტიკება. ჯერ არ ვიცით სასარგებლო იქნება, თუ უსარგებლო ეს კავშირი, ამიტომ კრიტიკა ჯერჯერობით მიზანშეუწონელია.

**ტრისტან მანია.**
ფოთი.

## დიახ, ეროვნული ჩემპიონატი

ვეთანხმებით კინორეჟისორ ა. ქღენტის წინადადებას იმის თაობაზე, რომ შეიქმნას ეროვნული ჩემპიონატი. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ჩემპიონატში უნდა მონაწილეობდეს თბილისის „დინამო“ და რესპუბლიკის I და II ლიგების ყველა კოლექტივი.

საქართველოში რომ ფეხბურთი განვითარდეს, დაე, ფეხბურთელებმა თვითონ აირჩიონ თავიანთი მწვრთნელები და ხელმძღვანელები. ეს კიდევ უფრო ბევრ სიკეთეს მოუტანს ქართულ ფეხბურთს.

საქართველოში უნდა გათამაშდეს რესპუბლიკის თასი და მისი მფლობელი ევროპის თასების თასის გათამაშებაში მონაწილეობდეს, ჩემპიონი — ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ხოლო II-V ადგილებზე გასული გუნდები — უეფას-ს თასის გათამაშებაში.

ყოველივე ამის შემდეგ ქართული ფეხბურთის დონე გაუსწორდება ევროპული ფეხბურთისას.

**ზ. წიკლაური, ვ. ზაქაიძე, ზ. გაგაძე და სხვები, სულ შვიდი ხელმოწერა.**

## ნუ აღმართავთ „ჩინურ კედელს“

**ყურადღებით** ვკითხულობ გამოხმაურებს წერილზე „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“. სავსებით ვეთანხმები ნ. ბასილაშვილს, ლ. მაისურაძესა და სხვებს იმის თაობაზე, რომ საკავშირო ჩემპიონატი და მასში მონაწილეობა ჩვენთვის აუცილებელია. არ მოვიყვან ყველა არგუმენტს, გამოქვეყნებულ წერილებში ეს კარგად არის ასახული, მაგრამ ერთს ვიტყვი: თუ ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატში, ამით მოგვივა ის, რაც ჩინელებს „ჩინური კედლის“ აღმართვის გამოისობით და თბილისის „დინამოც“ სოფლის გუნდად გადაიქცევა.

**ნიკოლოზ გერიშვილი,**
**ვეტერანი ფეხბურთელი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

**ხილნალი.**



## იტალია-90
## მსოფლიო ჩემპიონატი

### სამხრეთ ამერიკა

**ჩილის** დედაქალაქში შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სამხრეთ ამერიკის მესამე ჯგუფში. ერთმანეთს შეხვდნენ ჩილისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. თავდაპირველად დაწინაურდნენ ბრაზილიელები, საპასუხო გოლი კი მასპინძლებმა გაიტანეს საფინალო სასტვენამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე.

ბრაზილიელი მიმომხილველები და სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჩილიელთა მიერ გატანილი საპასუხო ბურთი მხოლოდ მატჩის არბიტრის, კოლუმბიელი დიას პალაჩიოს მიკერძოებული მსაჯობის შედეგია და არავითარ შემთხვევაში არ ასახავს თამაშის ჭეშმარიტ არსს.

შესარჩევ ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5—1 | 3 |
| ჩილი | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | 3 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 0 | 2 | 1—7 | 0 |

## მიფრინავენ „თბილ ქვეყნებში“

**საბჭოთა** ფეხბურთელები კვლავ და კვლავ მიემგზავრებიან უცხოეთის კლუბებში. როგორც ცნობილი გახდა, მოსალოდნელია კიევის „დინამოს“ ცნობილი ფორვარდის იგორ ბელანოვის გადასვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ, მიუნხენის „ბაიერნში“. დაწვრილებითი ამბები ამ გარიგების თაობაზე ჯერ ცნობილი არაა.

დონის როსტოვის „როსტსელმაშის“ (I ლიგა) მეკარემ ა. ბალახნინმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ფინეთის კლუბ „ჰაკასთან“. ხელშეკრულების თანახმად ა. ბალახნინი გამოსაცდელი ვადით, 2 თვით ითამაშებს ფინეთის ამ კლუბში და თუ ყველაფერი წესრიგზე იქნა, „ჰაკა“ მასთან კონტრაქტს გააგრძელებს.

### I ლიგა

**გუშინ** ლანჩხუთში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVI ტურის შეხვედრა, ადგილობრივმა „გურიამ“ მიიღო სტავროპოლის „დინამო“.

თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 2:1.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**იტალიაში** სტუმრად იმყოფებიან მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც ქალაქ სალერმოში ანგარიშით 5:1 დაამარცხეს ადგილობრივი კლუბი.

ფეხბურთის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თამაშისადმი, გაზეთები აღნიშნავენ სტუმრების კარგ მომზადებას.

**ჩინეთის** საპორტო ქალაქ დალიანში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, ჩინეთის ეროვნული ნაკრები ბრაზილიის ცნობილ „სანტოსს“ შეხვდა და ფრედ დაამთავრა მატჩი — 1:1. ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა ჩინელმა ფეხბურთელმა მა ლინმა, 53-ე წუთზე კი სოკრატესმა 11-მეტრიანით საპასუხო ბურთი გაიტანა.

## ტრაგედია ლაგოსის სტადიონზე

**საერთაშორისო** ფეხბურთში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების რიცხვს კიდევ ერთი დაემატა. ბრიუსელის „ეიზელის“, შეფილდის „ჰილსბოროს“, მოსკოვის ლუჟნიკის და სხვა მრავალ სტადიონზე მომხდარ ტრაგედიებს დაემატა ნიგერიის დედაქალაქის სტადიონზე მომხდარი სამწუხარო ამბებიც.

ლაგოსის სტადიონზე მიმდინარეობდა ნიგერიისა და ანგოლის ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ერთ-ერთ მომენტში ნიგერიელი ფეხბურთელი მეტოქეს შეეჯახა, ძირს დაეცა და გრძნობაზე არც მოსულა, ისე გარდაიცვალა საავადმყოფოში.

სტადიონზე აუწერელი ამბები მოხდა. მაყურებლები აიყარნენ ადგილებიდან, ჭყლეტას შეეწირა 7 კაცი, კიდევ 13 მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოებში.

როგორც უცხოეთის პრესა იტყობინება, ლაგოსის სტადიონი 80 ათას მაყურებელს იტევს, თამაშზე კი გაცილებით მეტი ბილეთი გაიყიდა, დაახლოებით 100.000-მდე მაყურებელი რიგიანად ვერ მოთავსდა ადგილებზე და უბედურებაც მოხდა.

## უცხოელთა „ლეგიონი“ შვეიცარიაში

**ციურიხის** „შპორტმა“ გამოაქვეყნა ქვეყნის პირველობაში მონაწილე უცხოელ ფეხბურთელთა სია. მათ შორის ბევრი ცნობილი ოსტატია. გთავაზობთ „შპორტის“ მონაცემებს:

**„ლუცერნი“:** ერიქსენი (დანია), გრეტარსონი (ისლანდია), ტუჩე (იუგოსლავია);

**„არაუ“:** კომორნიცკი (პოლონეთი), ვან დერ გიპი (ჰოლანდია), ჰანესი (გფრ), საბენი (ლუქსემბურგი).

**„ბელინცონა“:** ჯუროვიჩი, კრჩევიჩი (ორივე — იუგოსლავია), მაპუატა (ზაირი), პერესი (ჩილი).

**„გრასჰოპერსი“:** გრენი (შვეცია), სტრუდალი (დანია), დი ვინსენტე (არგენტინა).

**„სიონი“:** ბალიჩი (იუგოსლავია), რენკინი (ბელგია), კლაუსენი (არგენტინა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი).

**(საკ. კორ.)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოზიციები უნდა შევინარჩუნოთ

(დასასრული)

საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ თავის მხრივ მიულოცა დიანა დარჩიასა და თეა ლანჩავას დიდი გამარჯვება და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ, ითქვა, რომ ქართველი ხალხი სამართლიანად ელის თითოეული ჩვენი მოჭადრაკისგან უმაღლეს შედეგებს და თუ არა პირველი, არც ერთი სხვა ადგილი არ გვაკმაყოფილებს. ნონა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ ოცდახუთი წლის მანძილზე შეინარჩუნეს დედოფლის გვირგვინი და ახალ თაობას უფლება არა აქვს ხელიდან გაუშვას პირველობა.

სპორტსახკომის ხელმძღვანელობა გოგოებს დაჰპირდა, რომ, სპორტსახკომი ყოველმხრივ შეუწყობს მათ ხელს, დაგეგმილია საჭადრაკო კომპიუტერების შეძენა, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს მოჭადრაკეებს. ითქვა, რომ კომპიუტერებთან მუშაობას ნორჩი მოჭადრაკეები სპორტში თითქმის პირველი ნაბიჯებიდანვე უნდა შევაჩვიოთ.

თეა ლანჩავამ და დიანა დარჩიამ მადლობა გადაიხადეს და დამსწრეთ აღუთქვეს, რომ თავს არ დაზოგავენ, რათა კიდევ უფრო შორს გაიტანონ ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლის სახელი.



კულმინაცია...

# სტატუსს ელის

როგორც ცნობილია, ჩოგბურთის დაბრუნება ოლიმპიურ პროგრამაში წარმატებით დამთავრდა. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო სეულის თამაშებმა. ახლა სპორტის ამ სახეობამ ოლიმპიური სტატუსი უნდა მიიღოს. ეს მოხდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს სესიაზე.

სპეციალისტები თვლიან, რომ საკითხის დადებითად გადაჭრას წინ ვერაფერი აღუდგება. „ჩოგბურთი იმდენად პოპულარული სპორტია, რომ მას დამატებითი რეკომენდაციები არ სჭირდება" — განაცხადა სოკ-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

ჩოგბურთი თამაშების პროგრამიდან 1924 წელს ამოიღეს საერთაშორისო ფედერაციისა და სოკ-ის ხელმძღვანელთა მრავალთვიანი კონფლიქტის შემდეგ.



სსრ კავშირის პირველობა რაგბიში
პირველი ლიგა

კვირას, 20 აგვისტოს განახლდება პირველი ლიგის გუნდების შეჯიბრება. მონაწილენი ამ ეტაპზე ორწრიან ტურნირს გამართავენ, რის შემდეგაც ბოლო ორ ადგილზე დარჩენილი გუნდები ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ სხვა კოლექტივებს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დამატებით შეეჯიბრებიან.

მეორე ეტაპის წინ ნოვოკუზნეცკის სმი-ს და შიაულიაის „ვაირასს" 22-22 ქულა აქვთ, ლენინგრადის „ელექტრომაშს" — 20, ელგავის „რაფს" — 19, თბილისის „მიმინოსა" და ასკ-ს — 18-18, ტაგანროგის „რადუგას" — 15, დნეპროპეტროვსკის „პრესს"—7.

თბილისის გუნდების თამაშთა განრიგი:

„მიმინო" — 20.08 „ვაირასი" (სტუმრად), 24.08 „რაფი" (სტ), 2.09 „ელექტრომაში" (შინ), 5.09 სმი (შ), 11.09 „პრესი" (შ), 13.09 „რადუგა" (შ), 21.09 ასკ (სტ); 25.09 „ვაირასი" (შ), 28.09 „რაფი" (შ), 5.10 „ელექტრომაში" (სტ), 8.10 სმი (სტ), 14.10 „პრესი" (სტ), 17.10 „რადუგა" (სტ), 24.10 ასკ (შ).

ასკ — 20.08 „რაფი" (სტ), 24.08 „ვაირასი" (სტ), 1.09 სმი (შ), 4.09 „ელექტრომაში" (შ), 10.09 „რადუგა" (შ), 14.09 „პრესი" (შ), 21.09 „მიმინო" (შ), 24.09 „რაფი" (შ), 29.09 „ვაირასი" (შ), 5.10 სმი (სტ), 8.10 „ელექტრომაში" (სტ), 14.10 „რადუგა" (სტ), 17.10 „პრესი" (სტ), 24.10 „მიმინო" (სტ).

„სპორტპროგნოზი", 35-ე ტირაჟის პროგრამა (25-27 აგვისტო)

| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ასკ (როსტოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 25.VIII | 50 | 40 | 10 |
| 2. „კუბანი" (კრასნოდარი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 25.VIII | 50 | 40 | 10 |
| 3. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 25.VIII | 70 | 20 | 10 |
| 4. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „კუზბასი" (კემეროვო) | 25.VIII | 40 | 50 | 10 |
| 5. „შინიკი" (იაროსლავლი) — ცსკა | 25.VIII | 10 | 50 | 40 |
| 6. „დინამო" (სტავროპოლი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) | 25.VIII | 40 | 40 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 7. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 26.VIII | 10 | 30 | 60 |
| 8. „დინამო" (კიევი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 26.VIII | 80 | 10 | 10 |
| 9. „დინამო" (მინსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26.VIII | 70 | 20 | 10 |
| 10. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 26.VIII | 50 | 40 | 10 |
| 11. „არარატი" (ერევანი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26.VIII | 60 | 30 | 10 |
| 12. „დინამო" (თბილისი) — „პამირი" (დუშანბე) | 26.VIII | 80 | 10 | 10 |
| 13. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 27.VIII | 50 | 40 | 10 |

# კასპაროვი დაეწია ლიდერს

შვეციის ქალაქ შელეფტეოში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების VI ეტაპი. IV ტურში მეტად ეფექტური გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. 45-ე სვლაზე მან შავებით დაამარცხა ინგლისელი ნაიჯელ შორტის გვირგვინოსანი. ყაიმზე შეთანხმდნენ ანდერსონი-საქსი, პორტიში-კარპოვი, ნანი-კორჩნოი, ელვესტი-ნიკოლიჩი, ვაჰანიანი-რიბლი, სეირავანი-ტალი. გადაიდო შეჯიბრების ლიდერის სალოვისა და ჰიუბნერის შეხვედრა.

4 ტურის შემდეგ გარი კასპაროვსა და ვალერი სალოვს (ორივე — სსრ კავშირი) 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. შემდეგ მოდიან ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 2,5, იან ელვესტი — 2 (1), ანატოლი კარპოვი (ორივე — სსრ კავშირი), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), დიულა საქსი (უნგრეთი), იასერ სეირავანი (აშშ), ჯონ ნანი, ნაიჯელ შორტი (ორივე — ინგლისი) — 2-2.



## არგენტინელი მწვრთნელი — ფილიპინების ნაკრებში

არგენტინელი მწვრთნელი კარლოს კავანიარო ფილიპინების საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მას გუნდის მომზადება ევალება მსოფლიოსა და აზიის ჩემპიონატებისთვის, გარდა ამისა, კავანიარომ დახმარება უნდა გაუწიოს მეორე და ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებსაც.

## „ოლიმპიკი" უკან არ იხევს

მარსელის „ოლიმპიკი", რომელიც ახლა მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს საფეხბურთო კლუბად ითვლება, არაერთი უარის მიუხედავად მაინც ცდილობს გადაიბიროს დიეგო მარადონა. აი მისი ახალი წინადადება: თუ არგენტინელი ვარსკვლავი დაარღვევს „ნაპოლისთან" კონტრაქტს, მარსელის კლუბი მას 15 მილიონ დოლარს გადაუხდის, აქედან 12 მილიონს პირადად მარადონა მიიღებს.

## დაიღუპა ლარი კანინგემი

მადრიდის ახლოს, საავტომობილო კატასტროფისას, დაიღუპა ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი 33 წლის ლარი კანინგემი. იგი გამოდიოდა ინგლისის ნაკრებში, თამაშობდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში", „მანჩესტერ იუნაიტედში", მადრიდის „რეალში", ბოლო ხანებში კი — მადრიდის „რაიო ვალეკანოში".

## ბილარდოს კონტრაქტი იტალიელებთან

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ წინადადება მიიღო მონაწილეობა მიიღოს იტალიის ტელევიზიის გადაცემაში, რომელიც მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის პრობლემებს მიეძღვნება. იტალიაში ამ მოგზაურობის დროს არგენტინელთან მოლაპარაკება აქვთ „ნაპოლისა" და „რომას" მესვეურებს, რომელთაც სურთ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბილარდოსთან კონტრაქტის დადება.

## დიდი იმედები

როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბობი რობსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი ღრმა რწმენით ნიჭიერი ფეხბურთელი პოლ გასკოინი („ტოტენჰემ ჰოტსპური") ისეთივე როლს შეასრულებს ინგლისელთათვის, როგორსაც საფრანგეთის ნაკრებში წლების განმავლობაში სახელოვანი მიშელ პლატინი ასრულებდა.

# ოლიმპიური ჩემპიონისგან მეტს მოელოდნენ

ლიონი. ახლა გვიანღაა კამათი იმის თაობაზე, შეძლებდა თუ არა ოლიმპიური ჩემპიონი 1 კილომეტრზე გიტში კიეველი ალექსანდრე კირიჩენკო პირველ-ორ წრეში აღებული ტემპის შენარჩუნებას, საჭეს რომ არ ემუხთლა. ძნელი სათქმელია, რის გამო დაეცა ტემპი მესამე, გადამწყვეტ წრეში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სეულის ოლიმპიადის ტრიუმფატორი აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

კილომეტრიანი დისტანციის პირველი წრე მან თავის მთავარ კონკურენტს გდრ-ის წარმომადგენელს იენს გლიუკლიჰს 0.15 წამით მოუგო. მეორე წრის შემდეგ სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა — 0,34. კირიჩენკო თავს უკვე მსოფლიო ჩემპიონად გრძნობდა, მაგრამ ბოლო წრეზე ერთ მომენტში საჭემ უმტყუნა, და სისწრაფეც მაშინვე დაეცა. საბოლოო ჯამში მთავარ ფავორიტს მესამე დრო აღმოაჩნდა — 1.05,060.

ჩემპიონატის დებულება გაუთვალისწინებელი ტექნიკური შეფერხების დროს განმეორებითი ცდის უფლებას იძლევა, მაგრამ კირიჩენკომ ეს უფლება არ გამოიყენა. იქნებ იმიტომ, რომ ვერ გარისკა, ან იქნებ იმიტომ, რომ ღელავდა და ერთგვარად რწმენა დაკარგა. ასეა თუ ისე, იგი ბრინჯაოს ჯილდოს დასჯერდა, არადა ჩვენს სპეციალისტებს კილომეტრზე გიტში უმაღლესი ხარისხის მედალი ჰქონდათ დაგეგმილი. გამარჯვება ამ სახეობაში მსოფლიოს 1985 წლის ჩემპიონს იენს გლიუკლიჰს (გდრ) დარჩა — 1.04,032, ვერცხლის მედალი კი მსოფლიოს 1987 წლის ვიცე-ჩემპიონმა, ავსტრალიელმა მარტინ ვინიკომბმა მიიღო (1.04,950).

იმავე საღამოს ოქროს მედლისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა 23 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა. 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში მან აჩვენა საუკეთესო შედეგი — 4.33,20 და ნახევარფინალში გავიდა. აი, მეორე საბჭოთა ველოსიპედისტს, 21 წლის კუიბიშეველ ვალერი ბატუროს კი ხელი მოეცარა. იგი დამარცხდა გდრ-ის წარმომადგენელ სტეფან ბლოხვიცთან და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.




თბილისის სპორტის სასახლე
20, 21, 22 აგვისტოს

სახელოვნებო-შემოქმედო კოოპერატივი „უნივერსი" და სპორტის სასახლესთან არსებული მუსიკალური გაერთიანება „მეტეხი-89" წარმოადგენს: მოსკოვის ექსცენტრულ თეატრ „ბიმ-ბომბის" კონცერტს, აგრეთვე, თბილისის როკ-ჯგუფის „პიკის საათისა" და პოპულარულ თბილისურ დისკოთეკის „ევე 20-20"-ს.

დასაწყისი 20 სთ.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.



ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00389